ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 23-94

"17" სექტემბერი 2015 წ.

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბერის N19-68 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,გ.ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ" ქვეპუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 20-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. შევიდეს ცვლილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბერის N19-68 დადგენილებით (ვებგვერდი, 24/12/2014; სარეგისტრაციო კოდი 010260050.35.101.016066) დამტკიცებულ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის დებულებაში":

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო ს.ამსახურის დებულება";

ბ) მე-2 მუხლის:

ბ.ა) მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი რედაქციის „ა[1]" ქვეპუნქტი:

„ა[1]) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 151[1] მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შედეგად, თბილისის ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების დაზიანებისას, ზიანის ოდენობის დადგენა, „ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე

არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად;“;

ბ.ბ) მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ზ) თბილისის ცენტრალურ გამზირებზე, ქუჩებზე, ბაღ-სკვერებში, პარკებში, მოედნებსა და გამწვანების სხვა ობიექტებში არსებული ზეხმელი და ავარიული ხეების გეგმური ან საჭიროების შემთხვევაში (დაინტერესებული პირების მომართვისას) ფორმირება და ამოძირკვა;“.

2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი

განმარტებითი ბარათი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბერის N19-68 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების შესახებ

ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის) მიზეზი/ პროექტის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები:

პროექტით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახური (შემდგომში - სამსახური) იძენს უფლებამოსილებას განახორციელოს, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 151[1] მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შედეგად დაზიანებული მწვანე ნარგავების ზიანის ოდენობის დადგენა, „ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

ამავე პროექტით, სამსახური უფლებამოსილი ხდება, მოახდინოს თბილისის ცენტრალურ გამზირებზე, ქუჩებზე, ბაღ-სკვერებში, პარკებში, მოედნებსა და გამწვანების სხვა ობიექტებში არსებული ზეხმელი და ავარიული ხეების როგორც გეგმური, ასევე საჭიროების შემთხვევიდან გამომდინარე (რაც თავის მხრივ მოიცავს სამსახურისათვის დაინტერესებული პირების მომართვას) ფორმირება და ამოძირკვა.

პროექტით, ხდება სამსახურის მოქმედ დებულებაში ტექნიკური ხარვეზის (სათაურის) გასწორება.

გ) პროექტის საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება:

პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი ხარჯების გამოყოფას თბილისის ბიუჯეტიდან.

გ) პროექტის ავტორი (ავტორები):

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

დ) პროექტის წარმდგენი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.